17/11/2026

MES 8 26 0001674539

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
სხდომის თარიღი: 03.11.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:03
სხდომის დასრულების დრო: 14:46
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე.
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო ხოლუაშვილი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი -;
5. **ხათუნა ლომაური** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. **მარიამ ხოფერია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. **ვალერიან გობრონიძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **შალვა კელეპტრიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
9. **ლია სანოძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
10. **ინგა დიასამიძე** – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
11. **ავთანდილ თავხელიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
12. **მაია ბარბაქაძე** – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
13. **ფრიდონ გოგიაშვილი** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **თინათინ გოგნაძე** – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
15. **თამარ მერაბიშვილი** – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
16. **თეა ნარეკლიშვილი** – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
17. **სალომე ტყეშელაშვილი** – სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
18. **ლევან ციცქიშვილი** – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
19. **ეკატერი ნეჭალაგანიძე** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
20. **თამარ ხურცილავა** – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
21. **დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **სოფიკო გრიგოლაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **მაკა ბერიძე** - რექტორის მოადგილე;
2. **ნინო მილაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **მაია ქუქჩიშვილი** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

4. **ირმა ქურდაძე** - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტი:

1. **ნანა მაკარაძე** - პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ ხელმძღვანელი
2. **ნანი მამულაძე** - ასოცირებული პროფესორი, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. **ქეთევან გოლეთიანი** - ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირების“ ხელმძღვანელი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

დარეჯან გარდავა - ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. **სოფიო თავაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
2. **მაია ჭიჭილეიშვილი** - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი);
3. **თამარ ძველაია** - I კატეგორიის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი;

აკრედიტაციის ექსპერტები, საკითხი, რომლის შეფასებაშიც მონაწილეობდა:

1. ფიქრია ვარდოსანიძე - III, IV საკითხი;
2. თამარ ჩარკვიანი - V საკითხი;
3. ანი ქვათაძე - V საკითხი;
4. ნინო პოპიაშვილი - VI საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს სხდომას I, II, III, IV, V, VI, საკითხების განხილვისას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ლევან შავაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს

მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებლის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

არა კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სოფიკო გრიგოლაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსულია 1547610, 29/10/2026 წერილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების ცვლილების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ აკრედიტაციის საბჭომ იმსჯელოს ამასთან დაკავშირებით.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №11 ოქმის პირველ ნაწილში (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა) ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებლის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №44 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მეორე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №11 ოქმის პირველ ნაწილში (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა) ცვლილების შეტანის თაობაზე;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება:
√არა კი

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
არა კი

თვითაცილება განაცხადა ავთანდილ თავხელიძემ.
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

პირველი და მეორე საკითხების ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან პირველი და მეორე საკითხის განხილვა უკავშირდებოდა ერთიდაიმავე პროგრამას, მიზანშეწონილი იყო, რომ ეს საკითხები განეხილათ ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება 2 პროგრამა „კომპიუტერული ინჟინერია“ ქართულ და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები. დაწესებულება მუშაობს ამ პროგრამების ინტერნაციონალიზაციაზე და ცდილობს ამ პროგრამების მაქსიმალურ სინქრონიზაციას. ამიტომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაზუსტდეს ქართულენოვანი პროგრამის სათაური, რადგან მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტი პროგრამებში.
შესაბამისად ქართულენოვანი პროგრამის სათაური უნდა დაზუსტდეს და გახდეს „კომპიუტერული ინჟინერია საერთაშორისო“. ეს ცვლილება არანაირ სხვა ცვლილებას არ იწვევს პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარეს ლევან შავაძეს აინტერესებდა რამ განაპირობა საერთაშორისო ტერმინის ჩამატება ქართულენოვან პროგრამაზე.
ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სათაური შინაარსთან ნამდვილად შესაბამისობაშია, რადგან პროგრამის აგებულება, მიზნები, შინაარსი აღებულია საერთაშორისო სტანდარტებიდან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებიდან. ორივე პროგრამა არის საერთაშორისო აკრედიტაციაზე ორიენტირებული და დაწესებულების მიზანია ორივე სტანდარტი და მიდგომა დაკმაყოფილებული იყოს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:09
დასრულების დრო: 14:17

პირველი საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №44 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი №1547610, 29/10/2026 წერილის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 03 ნოემბრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №44 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (საერთაშორისო)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ";

მეორე საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №11 ოქმის პირველ ნაწილში (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა) ცვლილების შეტანის საკითხი;

გადაწყვეტილება: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი №1547610, 29/10/2026 წერილის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 03 ნოემბრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 18 აგვისტოს №11 ოქმის პირველ ნაწილში და პროგრამის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"კომპიუტერული ინჟინერია (საერთაშორისო)".

მესამე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ვერ შეძლო დასწრება საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
თამარ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ შუალედური მეათე კვირას და გამოცდაში არის მითითებული ერთი ღია კითხვა. მას აინტერესებდა რამდენად არის რელევანტური გამოცდის ფორმატთან ერთი ღია კითხვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ შუალედური განიხილება გამოცდის მთლიან კონტექსტში და განსაკუთრებით ინგლისურ ფილოლოგიასთან მიმართებით ცდილობს დაწესებულება, რომ ის იყოს მრავალფეროვანი და ყველა სახის მეთოდოლოგია იყოს დადასტურებული. ერთი ღია კითხვა არის წარმოდგენილი, თუმცა ის კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.
ირმა ქურდაძემ ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქცენტი კეთდება მრავალკომპონენტიან მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს, რომ შუალედური გამოცდა არის ერთი, თუმცა საკმაოდ მსუყე პრაქტიკა აქვს პროგრამას.
საბჭოს წევრმა ლია სანოძეს აინტერესებდა თუ როგორ აისახებოდა სტუდენტების უკუკავშირის საკითხი სწავლების ხარისხზე და რა იცვლება ამის შემდეგ.
დაწესებულების წარმომადგენელმა მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ ყველაფერი იცვლება, რაზეც უკუკავშირი აქვთ სტუდენტებს. ხარისხის სამსახურის მიერ რეგულარულად მიმდინარეობს სტუდენტის ჩართვა პროგრამაში. უკუკავშირის საფუძველზე იცვლება პროგრამის სტრუქტურა, მიზნები და შესაძლოა შედეგებიც კი შეიცვალოს. ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული სტუდენტთა უკუკავშირის მექანიზმიც. სისტემატურად ტარდება გამოკითხვები პროგრამის დასაწყისშიც, სემესტრის ბოლოსაც და წლის ბოლოსაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:26
დასრულების დრო: 14:28

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2" აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლისმე - 2^{1} - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2"აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ინგა დიასამიძემ.
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა ფიქრია ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსებთან მიმართებით რაც იყო გასათვალისწინებელი და შესასწორებელი, შესრულებულია. რაც შეეხება ინტეგრირებულ პროგრამას, ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ვიზიტის დროს განიხილეს სტუდენტთა სამეცნიერო უნარების განვითარება რომ წამოდაგენს სავალდებულო კომპონენტს. უნივერსიტეტის პასუხი იყო, რომ ეს ჯგუფი დამატებითი ანალიზისთვის იყო შემქნილი და შესაბამისობა დადგინა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გადაიხედა ეს რეკომენდაცია და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რჩევის სახით უნდა გაცემულიყო ის. სხვა დანარჩენი რეკომენდაციები გულდასმით აქვთ შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გადაიხედა სასწავლო კურსის სილაბუსები და მოხდა მათი მოდიფიცირება, დაემატა კვლევის თანამედროვე საკითხები და მეორე რეკომენდაცია სრულად შესრულდა. რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში იყო ზუსტად იგივენაირად წარმოდგენილი, რაც უკვე აღინიშნა და პროგრამაში დამატებითი ცვლილებების გატარების საჭიროება არ ყოფილა. განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე იყო 5 რეკომენდაცია და ყველა შეასრულა დაწესებულებამ. ცვლილებები ეხებოდა სასწავლო კურსებს. დაემატა ხარისხის უზრუნველყოფასთან

დაკავშირებული საკითხები, სასწავლო გეგმისა და შეფასების კომპონენტები. გადაიხედა სასწავლო კურსი განათლების სამართალი, გაფართოვდა მისი თემატიკა განახლდა სავალდებულო ლიტერატურა და სამართლებრივი აქტები ჩანაცვლდა თანამედროვე საკანონმდებლო ბაზით. ასევე გადაიხედა პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი, დაზუსტდა პრაქტიკის განხორციელებისთვის საკონტაქტო საათების რაოდენობა. ცვლილებები აისახა პროგრამის სილაბუსშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
შალვა კელეპტრიშვილმა პირველ პროგრამაში გაცემულ მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა ექსპერტს. რეკომენდაცია გულისხმობდა პრაქტიკის საათების დამატებას და საბოლოო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ 60 საათი დაეთმო პრაქტიკის კომპონენტს პრაქტიკის ობიექტზე. სილაბუსში კი აღნიშნულია, რომ 30 ეთმობა პრაქტიკას პრაქტიკის ობიექტზე, ხოლო დანარჩენი 30 სააუდიტორიო სწავლებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზია და 30 საათი ეთმობა პრაქტიკას.
შალვა კელეპტრიშვილს აინტერესებდა რამდენადმისაღები იყო აუდიტორიებში პრაქტიკის ნაწილის გავლა.
ფიქრია ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება ამ განაწილებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 14:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლისმე - 2^{1} - მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 14:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 20
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{1} - მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

მარიამ ხოფერია, შალვა კელეპტრიშვილი, თამარ მერაბიშვილი.
თვითაცილების საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა თამარ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის შეფასება დაწესებულებამ აწარმოა 23 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის მონაკვეთში. ექსპერტებს გამოთხოვილი ჰქონდა დაწესებულებისგან დამატებითი დოკუმენტაცია, რადგან მე-4 სტანდარტთან მიმართებით სურდათ ექსპერტებს, რომ ამომწურავი ინფორმაცია ჰქონოდათ. აკრედიტაციის პროცესში შეისწავლეს 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტი. მეორე სტანდარტთან მიმართებით შემუშავებული იყო 3 რჩევა, მეოთხე სტანდართთან მიმართებით მხოლოდ ერთი რჩევა გაიცა და 5 რეკომენდაცია. მეორე სტანდართან მიმართებით იყო 3 რჩევა, რომელიც ძირითადად იყო ტექნიკური ხასიათის და პროგრამაზე მიღების გამჭვირვალეობასთან დაკავშირებული. ასევე მინიმალური დაშვების ქულა ერთ-ერთ სილაბუსში იყო 11, თუმცა ზოგადად მიღებული იყო 21. ექსპერტებმა ეს მიიჩნიეს ტექნიკურ ხარვეზად და რჩევის სახით წარმოადგინეს. ასწვე, კარგი იქნებოდა მიღების ნაწილში პოტენციური ხელმძღვანელების სიის წარმოდგენა. რჩევებშ იყო გაწერილი სწავლა-სწავლების მეთოდების მკაფიო გაწერაც. მეოთხე სტანდარტში გაიცა რჩევა, რომ საერთაშორისო მეცნიერის ჩართვა პროგრამაში სასურველი იქნებოდა.

საჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
ლევან ციხელაშვილს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აინტერესებდა რამდენად იყო გათვალისწინებული სხვა აქტივობები, გრანტებში მონაწილეობა და ა.შ.

თამარ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი შეისწავლეს კომპლექსურად, ფაქტობრივად, ყველა საკითხი განიხილეს, რომელიც გადის სამეცნიერო აქტივობის კატეგორიაში.
ლევან ციხელაშვილს აინტერესებდა რამდენად იყო შესაძლებლი ამ რეკომენდაციის რჩევაში გადატანა, რადგან პერსონალის CV-ებში დასტურდება, რომ საკმაოდ ბევრ აქტივოებებში არიან ჩართულნი.
თამარ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ დარგში სტანდარტი მაღალ მოთხოვნებს აყენებს და საქართველოს დონეზე ძალიან რთულია ამ სტანდარტის დაკმაყოფილება, ამიტომ ამ საკითხის მიმართ რადიკალური მიდგომა არ აქვს.
მაია ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ კულტურის კვლევა ძალიან მაღალ სტანდარტს მოითხოვს. მას აინტერესებდა კულტურის რომელ სფეროზე არის აქცენტირება გაკეთებული.
დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ამ ფაკულტეტის 3 პროგრამა იყო წარმოდგენილი ასეთ ანგარიშზე წარმოდგენილი შემოდგომას. ამ პროგრამებს ვადა აქვთ 2028 წლამდე და ახლა უნდა განხილულიყო ანგარიში, თუმცა დასკვნაში აღნიშნულია, რომ განიხილეს აკრედიტაციის ვიზიტის ანგარიში, რაც არ შეესაბამება რეალობას, რადგან არანაირი ვიზიტი არ ყოფილა. ანგარიშის ფარგლებში დაწესებულებას უნდა დაედასტურებინა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია კულტურის კვლევები, რომელიც 2019 წლამდე, ჩარჩოში განხორციელებულ ცვლილებებამდე იყო მიმართულებათა შორის სვეტში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა შორის. ახლა ის სოციალურ მეცნიერებათა ფარგლებშია. შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები უნდა ყოფილიყო ამ კვალიფიკაციის ფარგლებში. ამიტომ დაწესებულებას არ გაკვირვებია დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვება, თუმცა მხოლოდ პუბლიკაციები იყო გამოთხოვილი ექსპერტების მხრიდან. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო 5 წლის პუბლიკაციები. ეს ორიენტირებული უნდა ყოფილიყო სადოქტორო პროგრამაზე, თუმცა ექსელის ფაილში აქცენტი სამაგისტრო პროგრამაზე იყო გაკეთებული და ისეტ პერსონალზე, რომელიც სადოქტორო საფეხურზე საერთოდ არ არის. სტანდარტით მოთხოვნილია, რომ ბოლო 3 წლის მანძილზე თუნდაც ერთი პუბლიკაცია უნდა ჰქონდეს ნაშრომის ხელმძღვანელს. ამ მოთხოვნას ასრულებს ყველა დოქტორანტურის საფეხურზე არსებული პერსონბალი. ამასთან, 4.1 და 4.2 რეკომენდაცია ერთმანეთს ფარავს, ორივეში მოთხოვნილია პერსონალს უდასტურდებოდეს საერთაშორისო ჟურნალში სტატია ბოლო 3 წლის მანზილზე, უბრალოდ სიტყვათა გადანაცვლებით, რაც რეკომენდაციათა გამრავლების მიზნით გაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასევე, შემდეგ რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ პერსონალის შეფასება უნდა ხდებოდეს რეგულარულად. დაწესებულებაში პერსონალის ყოველწლიური შეფასება რომ არ ხდებოდეს, ვერანაირ ავტორიზაციას ვერ გაივლიდა პროგრამა. ეს ინფორმაცია ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი. ექსპერტებს რომ გამოეთხოვათ პროექტები ნახავდნენ, რომ მათ აქვთ სამი მიდმინარე პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, რომელიც ქვეყანაში არის წამყვანი. გარდა ამისა, ეს არის ჯგუფი, რომელმეც კულტურის კვლევების სამივე საფეხური, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, შემოიტანა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში.
ანი ქვათაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით მაქსიმალურად ობიექტური რეკომენდაციები გაიცა. ის რომ 2 რეკომენდაცია ჰგავს ერთმანეთს გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთ სტანდართში ზოგადად განმახორციელებელ პერსონალზე იყო და მათ უკავშირდებოდათ. 4.2 კი უკვე პოტენციურ ხელმძღვანელებზე იყო საუბარი, რომელიც განმახორციელებელ პერსონალშიც შედით, თუმცა სტანდარტი მოითხოვდა მათზე ინფორმაციას და ამიტომ გაიწერა 2 რეკომენდაცია. მესამე რეკომენდაციაში სტანდარტი ითხოვდა პერსონალის შეფასებას პროგარმის ფარგლებშ და შემდგომ ამ შედეგებზე დაფუძვნებული პროფესიული განვითარების მექანიზმები. თვითშეფასების აღწერილობით საკითხში 4.3 აუცილებლად უნდა ყოფილიყო ინსტიტუციის მხრიდან შევსეებული. თუ ამ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში რა განვითარებაში დაეხმარა ინსტიტუცია პროგრამის

ფარგლებში, აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია, ერთადერთი ინსტიტუციიდან პასუხი იყო, რომ 150 000 ლარს გამოყოფს ინსტიტუცია პერსონალისთვის. აქედან გამომდინარე, კომპეტენციის ფარგლებში რელევანტურად ჩათვალა ექსპერტმა რეკომენდაციის გაცემა.
დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ როცა ერთი რეკომენდაცია მეორეს ფარავს დანართის სახით უნდა დაიწეროს და არა დუბლირებულად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:25
დასრულების დრო: 15:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" საგანმანათლებლო პროგრამაზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: კრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კულტურის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ "კულტურის კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებლის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ 2025 წლის 8 აგვისტოს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით პროგრამას და ვალდებულებად განესაზღვრა დაწესებულებას გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოდგენა ერთი წლის თავზე. დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე ექსპერტი ადასტურებს, რომ რეკომენდაციები შესრულდა ვადაში და დამადასტურებელი დოკუმენტაციაც იყო წარმოდგენილი. ძირითადი რეკომენდაციები გაცემული იყო პირველ სტანდარტში, კურიკულუმთან დაკავშირებით იყო 1 რეკომენდაცია, მეორე სტანდარტშიც იყო 1 რეკომენდაცია, ასევე მესამეშიც და მეოთხე სტანდარტში დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალის გაძლიერებას ეხებოდა რეკომენდაცია, მეხუთ ესტანდარტში კი 3 რეკომენდაცია იყო გაცემული. ანგარიშის შესწავლის შემდეგ ექსპერტს დამატებითი რეკომენდაცია არ შეუმუშავებია. ერთი რჩევა გაიცა ტექნიკურ ეზუსტობასთან დაკავშირებით, რომელიც კურიკულუმის რუკებს ეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მარიამ ხოფერიამ აღნიშნა, რომ სილაბუსში ერთ-ერთი ლიტერატურა თარიღდება 1921-1923 წლებით. მას აინტერესებდა ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ არა.
მაია ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო.
მაია ხოფერიამ აღნიშნა, რომ 5-6 სილაბუსში მეორდება ერთი და იგივე ლიტერატურა.
მაია ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ დარგი სპეციფიკურია და ძალიან მწირი ლიტერატურა აქვს და ამიტომ იძულებულები გახდნენ ეს ლიტერატურა გამოეყენებინათ, თუმცა იუნტერნეტ მასალებიც სეტანილია.
თამარ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ პედაგოგიკაზე შუალედურ გამოცდაში მითითებულია 1 საათი და აინტერესებდა რამდენად შეესაბამებოდა გამოცდის ფორმატს ეს ხანგრძლივობა.
მაია ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ აპრობირებულია ეს გადაწყვეტილება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მანამდე არის რამდენიმე სემინარი და ყოველკვირეული შეფასებაც, ამიტომ ყოველ სემინარზე ჩაბარების რეჟიმში არიან სტუდენტები. ამიტომ შუალედურზე არ გროვდება ბევრი საკითხი ჩასაბარებლად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 15:45

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებლის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება:აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2^{1} - მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის

მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი; მუსიკის მასწავლებლის" საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:46 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე